მთავარი ბუღალტრის სერტიფიცირება

<u>გამოცდაზე ქცევის წესები</u>

გთხოვთ ყურადღებით წაიკითხოთ გამოცდებზე ქცევის წესები

1. პრეტენდენტი გამოცდაზე უნდა გამოცხადდეს მის დაწყებამდე სულ მცირე **30 წუთით ადრე;**
2. გამოცდაზე არ დაიშვება ის პრეტენდენტი, რომელიც **დაგვიანებით** გამოცხადდება;
3. გამოცდის დაწყებამდე ყველა პრეტენდენტმა უნდა იცოდეს თავისი ადგილი **აუდიტორიაში;**
4. გამოცდები მიმდინარეობს **3^{00} საათს;**
5. პრეტენდენტმა რეგისტრაციისას უნდა წარმოადგინოს **ბაფის წევრობისა და პირადობის** დამადასტურებელი (სურათიანი) მოწმობა;
6. პრეტენდენტი ვალდებულია, საგამოცდო **მაგიდაზე** გამოცდის დამთავრებამდე ედოს პირადობისა და ბაფის მოწმობა;
7. პრეტენდენტმა **თან უნდა იქონიოს** კალკულატორი, სახაზავი, კალამი, ფანქარი, საშლელი, სათლელი - ეს ნივთები გამოცდაზე არ გაიცემა;
8. პრეტენდენტს **ეკრძალება** გამოცდაზე სახელმძღვანელოების, სასწავლო მასალის, ან რაიმე ჩანაწერის შეტანა;
9. ხელჩანთები საგამოცდო აუდიტორიაში უნდა მოთავსდეს მაგიდის გვერდზე ან **შესაბამისად გამოყოფილ მაგიდაზე;**
10. პრეტენდენტს საგამოცდო წესების დარღვევად ჩაეთვლება **ჰოლში წიგნებით** სარგებლობა;
11. გამოცდაზე არ დაიშვება ჩართული **მობილური ტელეფონების** შეტანა;
12. პრეტენდენტებს გამოცდის მიმდინარეობისას ეკრძალებათ ერთმანეთთან **საუბარი;**
13. პრეტენდენტს უფლება აქვს, მოსაწევად ან ტუალეტში გავიდეს მხოლოდ გამოცდაზე **მეთვალყურის** ნებართვით, გამოცდის დაწყებიდან **ერთი საათის** შემდეგ;
14. პრეტენდენტს უფლება არა აქვს, მოსაწევად ან ტუალეტში გავიდეს გამოცდის დასრულებამდე **ბოლო 30 წუთის განმავლობაში;**
15. გადაწერის ან გადაჩურჩულების მცდელობისას, პრეტენდენტი **მოიხსნება გამოცდიდან.**
16. პრეტენდენტმა **მუშაობა უნდა შეწყვიტოს** დამკვირვებლის მიერ გამოცდის დამთავრების შესახებ გამოცხადებისთანავე.

<u>სხვა წესები</u>

<u>გთხოვთ ყურადღებით გაეცნოთ შემდეგ წესებს:</u>

1. ბაფის სატესტო გამოცდაზე დაიშვება პრედენდენტი, რომელსაც ჩაბარებული აქვს კომპიტერული ტექნოლოგიების საგამოცდო ნაწილი.
2. ბაფის გამოცდაზე დასაშვებად ყველა პრედენდენტმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია გამოცდამდე 10 დღით ადრე.
3. თუ გამოცდაზე დარეგისტრირების შემდეგ **ვერ ახერხებთ გამოცდაზე გასვლას,** გამოცდებამდე **5 დღით** ადრე, <u>წერილობით</u> <u>მიმართეთ ბაფის ადმინისტრაციას.</u> გააუქმეთ გამოცდის განაცხადი და გამოცდის თანხა, ეს თანხა კრედიტში შეგენახებათ, **<u>წინააღმდეგ შემთხვევაში, გადახდილი თანხა აღიარდება შემოსავლად. (ტელეფონით ინფორმაცია არ მიიღება).</u>**
4. არასწორ ანგარიშზე გადახდის შემთხვევაში, პრედენდენტმა გამოცდამდე უნდა გამოასწოროს დაშვებული შეცდომა და გადაიტანოს თანხა შესაბამის ანგარიშზე.
5. ბაფის გამოცდების ჩატარების ადგილს შეგატყობინებთ მოგვიანებით.
6. გამოცდის შედეგის გაპროტესტება მოხდება გამოცდის შედეგის გამოქვეყნებიდან სამი დღის განმავლობაში მისამართზე, წერეთლის 61-ი. მითითებული დროის შემდეგ განცხადებები აღარ მიიღება.

<u>გამოცდებზე გასათვალისწინებელი</u>

- ჩაწერეთ სპეციალურ გარფაში გარეკანზე თქვენი სახელი და გვარი გარკვევით;
- იმუშავეთ მხოლოდ ბურთულიანი კალმით, ფანქრით ნაწერი არ გასწორდება;
- ტესტით მოთხოვნილი პირობის შესაბამისად, შეარჩიეთ სწორი პასუხი და გააფერადეთ ან შემოხაზეთ ფურცელზე;
- არ დატოვოთ გაუფერადებელი არც ერთი ტესტის პასუხი;
- გამოცდის დამკვირვებლებს არ დაუსვათ კითხვები;
- თუ, თქვენი აზრით, ამოცანის პირობაში შეცდომაა, დაასაბუთეთ და დაწერეთ სწორი ამოხსნა;
- შეცდომის აღმოჩენა შეგიფასდებათ.